სოციალური ქცევის, სოციალურ- კოგნიტური უნარების, მიჯაჭვულობისა და აკადემიური წარმატების ურთიერთკავშირი

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

გოგა შავიძე

ნაშრომი წარდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი

ირინა ვარდანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

სარჩევი

ცხრილების ნუსხა 3

აბსტრაქტი 4

Abstract 6

შესავალი 7

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა 11

1.1. მიჯაჭვულობის თეორიის ფორმირება და განვითარების ძირითადი კონცეპტუალური მიდგომები 11

1.2. მშობელთან მიჯაჭვულობის ტიპები და მათი გავლენა პიროვნების ფსიქოსოციალურ განვითარებაზე 14

1.3. სოციალურ-კოგნიტური უნარების არსი, სტრუქტურა და განვითარების მექანიზმები 17

1.4. ემპათია და პროსოციალური ქცევა სოციალური ქცევის განვითარების კონტექსტში 19

1.5. მიჯაჭვულობის, ემპათიისა და სოციალურ-კოგნიტური უნარების ურთიერთკავშირის ემპირიული კვლევები 21

1.6. აკადემიური წარმატება და მისი ფსიქოსოციალური დეტერმინანტები 23

1.7. წინამდებარე კვლევის კონცეპტუალური საფუძველი, საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზები 26

თავი II. კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები 28

თავი III. კვლევის შედეგები 32

თავი IV. დისკუსია 38

დასკვნა და რეკომენდაციები 44

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 48

დანართი 54

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1 რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები და საკვლევი ცვლადების აღწერითი სტატისტიკა (N = 151).....33
ცხრილი 2 საკვლევ ცვლადებს შორის პირსონის კორელაციის მატრიცა (N = 151) 35
ცხრილი 3 მრავლობითი წრფივი რეგრესიული ანალიზის შედეგები.....37

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სტუდენტების სოციალური ქცევის, სოციალურ-კოგნიტური უნარების, მშობელთან მიჯაჭვულობის უსაფრთხოებისა და აკადემიური წარმატების ურთიერთკავშირის შესწავლას. კვლევის აქტუალობა განპირობებულია თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ფსიქოსოციალური ფაქტორების მზარდი მნიშვნელობით და იმ ინტერესით, რომელიც უკავშირდება აკადემიური წარმატების განმაპირობებელი ფსიქოლოგიური მექანიზმების გააზრებას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ როგორ უკავშირდება ერთმანეთთან ემპათია, სოციალურ-კოგნიტური უნარები და მშობელთან მიჯაჭვულობის ტიპი, ასევე რამდენად მოქმედებს აღნიშნული ცვლადები სტუდენტების აკადემიურ წარმატებაზე. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით. შერჩევა შეადგენდა 151 სტუდენტს. მონაცემების შეგროვება განხორციელდა ონლაინ კითხვარის საშუალებით, რომელიც მოიცავდა სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებს: Attachment Style Questionnaire – Short Form (ASQ-SF), Matson Evaluation of Social Skills with Youngsters Scale (MESSY), OECD-ის Social and Emotional Skills Survey (SSES) და აკადემიური წარმატების თვითშეფასების კითხვარს. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა SPSS პროგრამის გამოყენებით, აღწერითი სტატისტიკის, პირსონის კორელაციული ანალიზისა და მრავლობითი წრფივი რეგრესიის მეთოდების საფუძველზე.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ემპათიასა და სოციალურ-კოგნიტურ უნარებს შორის არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი კავშირი, რაც მიუთითებს აღნიშნული კონსტრუქტების ურთიერთდაკავშირებულობაზე სტუდენტურ ასაკში. ამასთანავე, მშობელთან მიჯაჭვულობის უსაფრთხოებას არ დაუდასტურდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არც ემპათიასთან, არც სოციალურ-კოგნიტურ უნარებთან და არც აკადემიურ წარმატებასთან. ასევე დადგინდა, რომ არც ერთი საკვლევი ფსიქოსოციალური ცვლადი არ წარმოადგენს აკადემიური წარმატების

დამოუკიდებელ პრედიქტორს მრავლობითი წრფივი რეგრესიული ანალიზის ფარგლებში.

კვლევის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ აკადემიური წარმატება წარმოადგენს კომპლექსურ და მრავალფაქტორიან ფენომენს, რომლის ახსნა მხოლოდ სოციალური და ემოციური უნარებით საკმარისი არ არის. ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს აკადემიური წარმატების ფსიქოსოციალური დეტერმინანტების კრიტიკულ გააზრებაში, ხოლო პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამების უფრო რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: მიჯაჭვულობა; ემპათია; სოციალურ-კოგნიტური უნარები; აკადემიური წარმატება; სტუდენტები.

Abstract

This thesis is dedicated to the study of the relationship between students' social behavior, social-cognitive skills, parental attachment security, and academic success. The relevance of the research is due to the growing importance of psychosocial factors in the modern educational space and the interest associated with understanding the psychological mechanisms underlying academic success.

The aim of the study was to determine how empathy, social-cognitive skills and parental attachment style are related to each other, as well as to what extent these variables affect students' academic success. The study was conducted using a quantitative methodology. The sample consisted of 151 students. Data collection was carried out using an online questionnaire, which included standardized instruments: Attachment Style Questionnaire – Short Form (ASQ-SF), Matson Evaluation of Social Skills with Youngsters Scale (MESSY), OECD's Social and Emotional Skills Survey (SSES) and the Self-Assessment of Academic Success Questionnaire. Statistical data processing was carried out using the SPSS program, based on descriptive statistics, Pearson correlation analysis and multiple linear regression methods.

The results of the study showed that there is a statistically significant positive relationship between empathy and social-cognitive skills, which indicates the interconnectedness of these constructs at student age. In addition, the security of attachment to parents did not show a statistically significant relationship with empathy, social-cognitive skills, or academic success. It was also found that none of the psychosocial variables studied is an independent predictor of academic success within the framework of multiple linear regression analysis.

The results of the study indicate that academic success is a complex and multifactorial phenomenon, which cannot be explained by social and emotional skills alone. The theoretical significance of the work lies in the critical understanding of the psychosocial determinants of

academic success, while the practical significance is related to the possibility of more realistic planning of student support programs in the educational space.

Keywords: attachment; empathy; social-cognitive skills; academic success; students.

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა და პრობლემის ფორმულირება

თანამედროვე საგანმანათლებლო ფსიქოლოგიის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად ჩამოყალიბდა იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტების აკადემიურ წარმატებას არა მხოლოდ კოგნიტური შესაძლებლობების, არამედ ფსიქოსოციალური მახასიათებლების ჭრილში. აკადემიური მიღწევები დღეს განიხილება როგორც კომპლექსური ფენომენი, რომელიც დამოკიდებულია ინდივიდის თვითრეგულაციის უნარზე, სოციალური ურთიერთობების ხარისხზე, ემოციურ სტაბილურობასა და სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებზე. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალური ხდება უმაღლესი განათლების კონტექსტში, სადაც სტუდენტი დგას მაღალი აკადემიური მოთხოვნების, სოციალური დამოუკიდებლობისა და ემოციური პასუხისმგებლობის წინაშე.

ფსიქოლოგიური კვლევების ფართო სპექტრი მიუთითებს, რომ ინდივიდის სოციალური და ემოციური ფუნქციონირების საფუძველი მნიშვნელოვანწილად ყალიბდება ადრეულ ბავშვობაში მშობელთან ურთიერთობის ხარისხის გავლენით. ჯონ ბოლბის მიჯაჭვულობის თეორიის მიხედვით, მშობელთან ჩამოყალიბებული ურთიერთობა ქმნის ე.წ. „შინაგან სამუშაო მოდელებს“, რომლებიც განსაზღვრავს ინდივიდის მოლოდინებს საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, ასევე მის ქცევით და ემოციურ რეაქციებს სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში. (Bowlby, 1969) უსაფრთხო მიჯაჭვულობის პირობებში ინდივიდი იძენს ნდობას სოციალური გარემოს მიმართ, ემოციური რეგულაციის ეფექტიან სტრატეგიებს და სოციალურ ურთიერთობებში მოქნილობას. (Bowlby, 1973)

მერი ეინსვორთის კლასიკურმა ემპირიულმა კვლევებმა ცხადყო, რომ უსაფრთხო მიჯაჭვულობა დაკავშირებულია ბავშვთა უკეთეს სოციალურ ადაპტაციასთან, ემოციურ სტაბილურობასთან და შემდგომში - პოზიტიურ ინტერპერსონალურ